

140  
1964/2

ଓଡ଼ିଆ  
ପ୍ରକାଶନ  
ବ୍ୟାପାର ମେଲା



JAMGJALA - 12



## პიონერები სამართ

თბილისის მეოთხე საშუალო სკოლის პიონერებმა გადმოცემით იციან, რომ ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელი ქარხანა 1957 წლიდან შეფინანსებული ქარხანა არის. ამ ხნის განმავლობაში ბევრი ერთობლივი, საინტერესო ღონისძიება ჩატარდება. ამასთან ერთად არიან ერთად.

ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში არის სამქრო, სადაც იჭრება და იყრება ვაგონის ფარდები, სამუშაო ხელთაომანები. აქ, კვისაში ერთხელ, მოდიოდნენ პიონერები და უფროსების დახმარებით ჭრიდნენ და კერავდნენ. ანა ხუციშვილი ყოველთვის ღიმილით ხვდებოდა პატარებს: ასწავლიდა გამოჭრას, კერვას...

მეექვსეკლასელები: ვალიდა ბერიძე, მარინე სამადაშვილი, მეშვიდე კლასელები: ირინე სულაველიძე, ლალი წიკლაური, ლიანა ჯვართავა ბშილი სტუმრები არიან დეიდა ანასი; მიუსხდებან საკერავ მანქანას და უხარით, როცა მათ ნახელას უფროსები აქებენ.

სამუშაო რომ დამთავრდება, მიაუღ-მოალაგებენ იქაურობას და დეიდა ანასთან ერთად გამოვლენ ქალაქში.

ქარხანაში ამ სამქროს „პიონერულ სამქროს“ ეძაბიან.

## ყურადღება! ყურადღება!

მეოთხეულასელ პიონერებს ძალიან უნდოდათ, სკოლაში რადიოკვინძი ჰქონდათ. დახმარებისათვის ქარხნის კომკავშირულ კომიტეტს მიმართეს. კომიტეტის მდივანმა ზაურ კიკა: ეგმ პიონერებს დახმარება აღუკარებად დააკირდით, შეიძლება რწვენიც მოგიწოთ ამ მანქანაზე მუშაობა.

„კარგად დააკირდით, შეიძლება რწვენიც მოგიწოთ ამ მანქანაზე მუშაობა.“

ଓজ্বা. সেমি ফলো শেষভাবে কি স্বীকৃতি-  
শি মন্তব্য দিনো প্রার্থনার দিন গুরুবৰ্ষা বৰ্ষো-  
লি কুম্ভ পার্বতীর মন্ত্র প্রার্থণা কৰিব।...  
কুম্ভ প্রার্থণার পূজা কৰিব।

კველა სართულზე გაიყვახს ოთხ-  
რი გამტარები, დაჭიდეს რეპროდუქტ-  
ორები, ჩართეს მიკროფონი და გა-  
ისმა დიქტორის — მეშვიდეკლასელი  
მარინე გაბუნიას ხმა:

— Կուրագողեց, կուրագողեց! Հա-  
Յահայովն տօնլուսն մշտեց Տաթյա-  
լով կողովն լուծա հայունան Տաելո-  
ւուն Յոնեցի կողովն համեցուլուս հագու-  
յանքու...

...ასე იწყება გადაცემა ყოველ შაბათს.

უხაროდეს მას, ვინც სანიმუშოდ  
მწვერობს, მაგრამ ვაი მას, ვინც  
ორიანებს მიიღებს, გაკვეთილს გაა-  
დენს, ან დააგვანებს.

საჩუქრებ  
პატიკა  
მაზობრებს

კუავილების დღესას-  
წაული ახლოვდებოდა.  
მეოთხეკლასელი პიო-  
ნერები ფიქრობდნენ,  
რაიმე კარგი გაეცეთე-  
ბინათ ამ დღესთან და-  
კავშირებით, მაგრამ  
ჯე

— မြေလို, များတော်၊ မြေသွန့်ပေါက  
ဘွဲ့ပေါက ရှိခိုင် ပြောစုံတော်၊ မြေသွန့်  
ဘွဲ့ပေါက ရှိခိုင် ပြောစုံတော်၊ မြေသွန့်



რწყათ და გავახაროთ! — თქვეს გო-  
გონებმა.

— ეგ თავისთავად, თქვენ სხვა  
თქვით. — უპატოხი, ბიჭიბმა-

— ჩვენი სკოლის წინ გაზონები  
ახალი, ღამაზი ყვავილებით შევა-  
სოთ.

— ეგეც უნდა გაკეთდეს, მაგრამ  
კიდევ სხვა რაოდაკა საჭირო.

— სხვა რაღა?! — მხრები აიჩე-  
ჩეს გოგონებმა.

— იცით, რა — მოდი, ხის ქოთნები გავაკეთოთ ყვავილებისათვის და 94-ე საბავშვობალელებს ვაჩუქოთ, — თქვა მეშვიდექლასელმა მალხაზ ჩინჩილავა ქვილმა.


წინადადება მოეწონათ, მაგრამ მასალა? სამუშაო იარაღიბი?

— ისევ ჩეენს ქარხანას მივაკითხოთ, — ურჩია ამხანაგებს კობა კობალიძემ.

მეორე დღეს, გაკვეთილების შემ-  
დეგ, ბიჭები ქარხნისაკენ გაფრინდ-  
ნან.

საღურგლო სამქროში ბლომად  
აღმოჩნდა ფიცრის პატარ-პატარა ნა-  
ჭრები; ბიჭებს გამოუნახეს თავისუ-  
ფალი დაზგა, მისცეს სამუშაო იარა-  
ობი...

ମେଶ୍ଵିଲ୍ୟୁକ୍ଳାବ୍ସେଲ୍ୟୁଦି: ଗୁରୁମ ମାନ୍ଦା-  
ଲାଶ୍ଵିଲ୍ଲି, ତେମୁଖ ଓଦିଲାଙ୍କ୍ୟ, ବାହ୍ୟ  
ହିନ୍ଦିଲାଙ୍କ୍ୟ ଓ ରୀତିବୀଳ ଗିର୍ଜାଗର୍ଭାନ୍ଦି



“ပାର୍ବତୀଙ୍କ ଦେବାଜ୍ୱାଳିନୀ, ଶ୍ରୀପଦଲୟବା  
ତଜ୍ଜ୍ୱାଣପ୍ର ମନ୍ଦିରିଷ୍ଟିତ ଏଥି ମହାକାଳାଖ୍ୟ  
ମନ୍ଦିରରେ”

# მუზეუმი მუზეუმი ციუმშვილი

გაკვეთილების შემდეგ პირდაპირ ქარხანაში მიღიოდნენ, წინასაფარს გაიკეთებდნენ, სახელოებს დაიკაპიტებდნენ და იყო შალაშინის შრიალი, ხერხის სიმღერა და ჩაქუჩის კაյუნი.

ყვავილების დღემდე ცოტა დრო იყო დარჩენილი, — მეოთხეკლასელი პიონერები 94-ე საბავშვო ბალის ოლსაზრდელებს ესტუმრნენ და, თავიანთი პიონერული რაზეცულის სახელით, ლამაზი საჩუქრები გადასცეს.

## მეორე დარბაზი

სკოლას ერთი სპორტული დარბაზი ჰქონდა; როცა ფრენბურთელები თამაშობდნენ, კალათბურთელები და ტანმოვარჯიშები იდგნენ და ელოდნენ. — ნეტა მეორე დარბაზიც გვქონდეს, — ვინ იყის, რამდენეგრ უნატრიიათ პიონერებს. ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში გაიგეს პატარების გულისტყივილი და ჩაფიქრდნენ, — რა შეიძლება გაკეთდეს. შეორე სართულის დაშენება შეიძლებოდა, მაგრამ ამისათვის საჭირო იყო თანხა, სამშენებლო მასალა, ხელოსნები, მუშახელი.

— უნდა შევძლოთ! — თქვა ქარხნის დირექტორმა გაბრიელ შაცაბერიძემ სკოლის დირექტორთან საუბარში, — ზოგი — თქვენ, ზოგი — ჩვენ, — გმოქვაბოთ რამდენ საშუალება და ზაფხულში დავიწყოთ მშენებლობა.

მართლაც, ზოგი — სკოლამ მოიტანა სამშენებლო მასალა, ზოგიც — ქარხანამ. დაიწყო მშენებლობა. უნდა გენახათ გიორგი ვარძელაშვილი, კობა კობალაძე, გურამ მაღალაშვილი, ლეიილა შიხაშვილი, ლიანა ძიძიგური, ტარიელ გიორგობიანი, ლიანა გელა-

შვილი, ვაჟა ჩანტლაძე, თეიმურაზ იბოლაძე, ნათელა საბაშვილი, ნანა კობეშვილი, მარინე გაბუნია და ბევრი სხვა, — რა მუყაითად ეხმარებოდნენ მშენებლებს...

მიიწურა ზაფხული და სანატრელი დარბაზის მშენებლობაც დამთავრდა. ამის შემდეგ პიონერებმა მერჩები, დაფები და მაგიდები საკუთარი ხელით შელებეს. დაზოგილი თანხით სკოლამ სპორტული იარაღში შეიძინა.

## გერთი და მოედანი

მეოთხე სკოლას პატარა ეზო აქვს, — ფეხბურთის მოედნის მოწყობა არ ხერხდება.

— ჩვენი და თქვენი რამ გაყო? აგრე არა გვაქვს მოედანი? მობრძანდით და ითამაშეთ! — მიიპატიუეს ქარხანამ.

ქარხანამ შეჯიბრების ორგანიზებული ჩატარებაში დახმარება ვლადიმერ ამბოქაძეს დავალა. ვლადიმერი ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანას პიონერობიდან შეეჩივა, მერე შეუყვარდა. დამთავრა თუ არა მეოთხე სკოლა — ქარხანას მიაშურა; საქმესაც ასწრებს და შეჯიბრებასაც ხელმძღვანელობს.

„ვინ იყის, იქნებ ამ ნორჩი ფეხბურთელებიდან რომელიმებ მომავალში ისე გაუთქვას სახელი ქართულ ფეხბურთს, როგორც ბერძნიშვილმა, პაიჭაძემ და მესხმა“, — იტყვიან ხოლმე მუშები, როცა პატარების პაეჭრობას უყურებენ.

\* \* \*

როცა ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ექსკურსის მოწყობაზე დაიწყება ლაპარაკი, აუცილებლად იტყვიან:

— მარტო ჩვენ ხომ არ წავალთ. ერთი ავტობუსი პიონერებისათვის დაგვეტილდება.

სამაგიეროდ, როდესაც სკოლაში საინტერესო კონცერტს მოამზადებენ, ყველა ერთხმად იძახის:

— ქარხანაში დასვენების საღამო მოვაწყოთ, მერე ჩვენთანაც მოვიწვიოთ მუშები... მეგობრობა გრძელდება!..

**ვალენიან ჩემურიზვილი**  
ფოტოები 3. გიორგიშვილის

უკანასკნელი ხამზადისა,  
გადამწყვერი შეხედრის  
წინ

## სოონ შავირიანი

გაგიფრინდა, თვალს მიპფარდა შემოდგომა ხობისფერი, მაგირად შემობრძანდა თმაბებერი დეკემბერი.

# გრემი

## გიორგი ქაჭალეგვა

შუადღეზე ძია სანდრომ ეზოში. ძარიანი მოტოციკლი გამოაგრძა და წმენდა დაუწყო. ვაჟამ მაშინვე მიატოვა ბურთის თამაში და შორიახლო გაჩერდა. მალე ვაჟას მამაც გამოჩნდა, ხელში შეპლეტილი, ძველი ვედრო ეჭირა. ვედრო მოტოციკლთან მიიტანა და მიწაზე დადგა.

— ძლივს გაიმეტა ბენზინი, — უკმაყოფილოდ ჩაიღაპარაკა მან.

ვაჟა მოშორებით დგას, წარბშეკრული შეცყურებს მამასა და ძია სანდროს. იცის — მამა არაფერ შუაშია, არც — ძია სანდრო. რა მათი ბრალია, რომ გუშინ მერაბი ჩამოვიდა ქალაქიდან; ის რომ არ ჩამოსულიყო, ალბათ, ვაჟასაც წაიყვანდნენ მთაში... ვაჟას ძალიან სწყინს, რომ წელს ვერ დაესწრება დოლს...



დეკემბერი... მთაშე ბროლი,  
მოელგარე, მოქათქათე...  
ფანტელები პირველ თოვლის  
ნელა-ნელა მოფარფატებს.

ისმის მღერა და ყიჯინა  
აქეთ—სვანის, იქით თუშის,—  
უმაწვილები მთოშავ ყინვას  
არ აგდებენ აინუნშიც.

აგერ, ციგა მოქრის ჩქარი,  
თხილამურებს მოსდევს ქარი;  
აგერ კიდევ, ერთი გუნდა  
ყურის ძირთან გაზუზნდა.

დეკემბერი, დეკემბერი...  
ღამეები გრძელზე-გრძელი,

ბუხრის პირას პაპა ბრძენი  
და ზდაპრების აბგა ჭრელი.

დეკემბერი... მინა სარკმლის—  
მოქარგული, მოჩითული...

დეკემბერი—თეთრი ზამთრის  
ფეხეთილი მოციქული...

დეკემბერი ვერცხლისფერი  
აბა, როგორ არა გწამდეს,—  
სულ სიცილით, სულ სიმღერით  
მიგვაცილებს ახალ წლამდე.

გზას გვილოცავს: შუქის ჩქერით  
გაგვიძრწყინდეს გზა მერმისის;  
მიტომ მიყვარს დეკემბერი,  
მიტომ ვერ ვთქვი ძვირი მისი.



# ნუგოვა

— ვაჟა, — დაუბახა უცებ ძია  
სანდრომ, — ძალიან გინდა წამოს-  
ვლა?..

— არ შეიძლება, — თქვა მამამ  
და ბენზინით სავსე ვეღრო სანდროს

მიაწოდა, — არ შეიძლება... ხომ  
იცი, რა გზებია...

— შენც ერთი! — თქვა ძია სანდ-  
რომ, — წავიყვანოთ, ავალთ როგორ-  
მე...

\* \* \*

ზღვა წყნარად ლოკავს სილიან ნა-  
პირს. ბიჭები ცხელ კენჭებზე წვანან  
და ხმადაბლა საუბრობენ...

— წილი ჰყარეთ, — ამბობს ვაჟა,  
— მოტოცილში მხოლოდ ერთი ად-  
გილია თავისუფალი...

— სწორია, — თქვა პაატამ და  
მზით გარუჯული ხახე ვაჟასკენ მოაბ-  
რუნა, მერე ბიჭებს მოავლო თვალი,  
— წილი ვყაროთ...

— ცუდი გზებია, — თქვა ვაჟამ,  
— თორებ მეტსაც წავიყვანდი... სამი  
კაცი თუ ავვიყვანა იმ აღმართებში,  
ისიც კარგია.

— ორი ხართ? — კვლავ იქითხა  
ზურამ.

— ჰო, მე და მამაჩემი. ჩენ არა-  
დროს არ ვაცდენო მთაში დოლს.

— კარგი, წილი ვყაროთ, — თქვა  
რეზომ.

ბედნიერი კენჭი ზურას შეხვდა.



გახარებული, მაშინვე ფეხზე წამოვარდა, ტანთ ჩაიცვა და სტუნგა-სტუნგით გაეშურა შინისაკენ...



\* \* \*

საღამომდე ხვეწნით არ მოასვენა დედა. ის იყო, დაწოლას აპირებდნენ, — რომ თავმობეზრებულმა დედამ ხელი ჩაიქნია, ფარანი აანთო, საჭაომეში შევიდა, ტანმორჩილი ვარია დაიჭირა, ზურას დააკვლევინა და სახელდახელოდ მოხარზა, რამდენიმე ხაჭაპური გამოაცხო და საგზალი პატარა ჩემოდანში ჩაალაგა... ზურას გვიან ჩაეძინა და მთელი ლამზე მაღალი, თეთრი ცხენები ესიზმრებოდა... სადაცემი შვებული, გაშმაგებული რაშები ქარივით დაშეროდნენ ხეობაზი და ღონიერი ტორებით უმოწყალოდ ფშვინდნენ მდინარის მიერ ჩამოტანილ ქვასა და ღორძს...

კარგა გათენებული არც იყო, ზურამ ბილიკი რომ ჩამოიჩინა და გზაზე გამოვიდა. მაინც ეშინოდა, — ვაითუ გამასწრესო. გზის პირას მოზრდილ ქვაზე ჩამოჭდა, — სწორედ აქ უნდა დახვედროდა მოტოციკლს. ასე შეუთანხმდა ვაჟას. ცოტა ხანს იქდა, მერე წამოდგა და გზის გარდიგარდომ სიარული დაიწყო. მოუთმენლობისაგან გული ელეოდა. მთელი საათი გავიდა, სანამ მოსახვევში ძია სანდროს მოტოციკლი გამოჩნდებოდა...

მოტოციკლს ოთხი კაცი მოძყავდა. ზურამ შორიდანვე იცნო ისინი: ვაჟას მამა, ძია სანდრო, სანდროს შვილი — სტუდენტი მერაბი და ვაჟა. მერაბი და ვაჟა ძარაში ისხდნენ.

ზურა შუა გზაზე გამოვიდა და ჩემოდნიანი ხელი ასწია.

მოტოციკლმა გვერდზე გაუხვია და გაჩერდა. ძია სანდრომ გაოცებით შეხედა ბიჭს.

ვაჟა ძარიდან გადმოიხარა და თქვა: — ადგილი აღარ გვაქვს... ხედავ... ოთხი ძლივს ვეტევით...

ზურას ღიმილი სახეზე შეეყინა.

— მთაში უნდა წამოსვლა, — თქვა ვაჟამ, — მე ვუთხარი, მივდივარ მეთქი...

— აკი შენ თვითონ ძლივს წამოგიყვანეთ, — თქვა ძია სანდრომ, —

არ იცოდი, ადგილი რომ შემდეგ მოწინდება...

ვაჟამ... ორნი ვართო... — ენის ბორძისით თქვა ზურამ — ერთი... ადგილი გვექნებათ...

აღლა უველამ ვაჟასკენ მიიხედა.

— მე... მე ვიხსმრე...

უვილანი სდემდნენ. ზურა გვერდზე გადგა და ჩემოდან ძირს დადო. თვალზე ცრემლი მოადგა და პირი მიიბრუნა...

— რა ვენათ ახლა, — თქვა შეწუხებულმა მერაბმა, — ხომ ხედავ, ოთხი ვართ... ძლივს ვეტევით...

ძია სანდრომ მოტორი ჩართო... ათიოდე მეტრით რომ გასცდნენ ბიჭს, ვაჟას მამამ სანდროს მკლავზე ხელი შეახო.

— მოცა... მგონი რაღაც დამავიწყდა...

ჯიბიდან სწრაფად ამოილო ფანქარი და ქაღალდის ნაგლევი, რაღაც დაწერა და ქაღალდი დაკვეცა.

— გაიქცი, — მიუბრუნდა ვაჟას, — დედაშენს მიუტანე... რაღაც დამავიწყდა, აბა სწრაფად!..

ვაჟა ძარიდან გადმოვიდა, ქაღალდი გამოიხოთვა და გორაკზე აირჩინა. აქედან მოკლე გზით სუთიოდე წუთში შინ იქნებოდა... ფერდობს რომ მიეფარა, მამამ ზურას დაუძახა:

— გამოიქცი... შენ გვლოდებით!..

\* \* \*

რამდენიმე წუთის შემდეგ ვაჟამ გორაკი ჩამოიჩინა. მოტოციკლი რომ ვეღარ დაინახა, ერთბაზად მიხვდა... მიწაზე დაემხო და ხმამაღლა ატირდა. დიდხანს იწვა ასე. ბოლოს, წამოდგა, და კვლავ გზას გახედა. ცრემლისაგან დაბინდულ თვალებს უკაცრიელი შარას მაგიერ მთის ქვიანი, საშიში ბილიკის ჩენენბა აელადა; ბილიკზე გაშმაგებით მისქროდნენ ლაგაშმიშვებული თეთრი ცხენები.

ნახატები  
ჭეშმალ ლოლუასი

# ქართული სახელმწიფო უნივერსიტეტი



\* სიხარულის ცრემლები



პანჩი ზარისანი

ნახატები არაბინი გალენცისა

მასწავლებელმა ბარე ხუთი მოსწავლის გვარი ამოიკითხს... არც ერთმა არ იცოდა გაქვეთილი. — ზეპირად არ ვიციო, — მორცხვად ჩაილულლულა თითოეულმა მათგანმა.

მასწავლებელი წამოიდგა და კლასს გადახედა, — ბავშვებს თავი ჩაელუნათ და უხმოდ ისტრინენ.

— ვის შეუძლია მიპასუხოს? — დასკვა მასწავლებელმა სურთო კითხვა.

თავს არავინ არ იღებდა. მასწავლებელს მარტო ვარდანიკა შეჰყურებდა. მასწავლებელმა შეხედა მას და გაიფიქრა: — აბა, როდის სცოდნია, ახლა რომ იცოდესო, — და თითო უკანა. შერხსაცენ გაიშვირა:

— შენ, გაგიკ?

ოთხოსანი გაგიკა ფეხშე აღგა:

— ზეპირად არ ვიცი, მასწავლებელო.

— რატომ არ იცი?

ბიჭუნამ არაფერი უპასუხა.

— დაჯექი! — უფრო გაბრაზდა მასწავლებელი და ერთხელ ქიდევ გადავლო თვალი კლასს.

— არც შენ იცი? — ჰკითხა მასწავლებელმა ნუნუს. ვარდანიკა სწრაფად შემოტრიალდა და ხუთოსან ნუნუს გადახედა.

— დიახ, ვიცი, — გაუბედავად თქვა ნუნუმ, — მაგრამ... ცოტა მეშვება.

— არაუმავს რა, — გაიღიმა მასწავლებელმა, — დაიწყე!

ნუნუმ დაიწყო:

„იყითხე, ჩემო ჰკვიანო ბალლო,  
არ იზარმაცო — იყითხე წიგნი,  
თუ გსურს, გონება რომ გქონდეს სალი, —  
ცოდნის დედაა, იცოდე იგი, იგი...“

ნუნუ დაიბნა. ვარდანიკამ პირი დააღო. ნუნუმ ტირილი მორთო. „ესეც შენ... მასწავლებელი მუდამ მისაბაძ მოსწავლედ გასახელებდა... იდექი ახლა და ღვარე ცრემლი“, — ფიქრობდა ვარდანიკა და ნუნუს თვალს არ აშორებდა.

სხვათაშორის, ვარდანიკა ვერ იტანდა ოთხოსნებს და ხუთოსნებს: „დიდი წარმოდგენა აქვთ თავისათ თავზე, ოთხიანის მიღების დროსაც კი ტირიან. უგვივონია, კაცმა ნიშნის გულისათვის იტიროს!“ ვარდანიკას თავის ხიცოცხლეში ერთი ოთხიანიც კი არ მიუღია, ხუთიანზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი!

ბავშვებო!

დღეს

ჩვენთან

სტუმად

არის

ცოდები

შურნალი

„პორნერი“.

ვარდანიკას გვერდით მჯდომარეობა მუკუჩამ წასჩურჩულა:

— ვარდანიკ!

— რა გინდა?





## სირვენ არაეკინი

დიდი ხნის წინათ, ძველ აღმოსავლეთში ცხოვრობდა ერთი ბრძნი დერვიში. მას ძალიან უყვარდა უცხო ქვეყნებში მოგზაურობა, იქაურ ბრძნებთან შეხვედრა და მათთან კამათი. ერთხელ, სომხეთის დედაქალაქში ჩასვლა გადასწყვიტა. საღამო იყო, როცა ქალაქში ამობყო თავი. ღამის გასათევად სასტუმროში გაჩერდა.

დერვიში ძალზე დაქანცული და მშიერი იყო. ასეთივე დღეში იყო მისი სახედარიც.

სასტუმროს ეზოში ბაგშები თამაშობდნენ. დერვიშმა დაუძახა ბიჭს, სპილენძის ფული გაუწოდა და უთხრა:

ჩამოვარდო კი გადასასვლელი

— ნიშნის გულისთვის იტირებ? —  
— მე ხუთოსანი ხომ არა ვარ, რომ ვიტირო! — დამცინავი კილოთი უპასუხა ვარდანიამ.  
— მეც ასე ვფიქრობ, — დაეთანხმა მუკუჩა.  
— რაზე საუბრობთ, ვარდანიკ? — შენიშნა მასწავლებელმა.  
— მე — არა, მასწავლებელო, — და მუკუჩაზე მოუთითა.  
— კი მაგრამ, გაჭვეთილი იცი? — ჰყითხა მასწავლებელმა მუკუჩა.  
— ზეპირად არ ვიცი, მასწავლებელო, — ფეხზე წამოდგა მუკუჩა.  
— დაჯერე!  
შუცებ, ვარდანიკამ პირი დააღო, თვალები დაჭყორა და თითი ასწირა.  
მასწავლებელს გაუკვირდა:  
— გსურს მისასუხო, ვარდანიკ?  
— არა, მასწავლებელო.  
— მაშ რა?  
— აგერ... თაგვი შეძერა. ნება მომეცით, დავიჭირო.  
კლასში სიცილი ატყდა, აცრემლებულმა ნუნუმაც კი გულიანად გადაიხარხა.  
— რა გაცინებს, შე ღოლრისალა, შენა! — შეუტია ვარდანიკამ.  
მასწავლებელმა ვარდანიკს გარეთ გაგდება დაუპირა.  
— რა დავაშავე, მასწავლებელო, გნებავთ — გაკვითოს გიპასუხებთ!  
— შენ რა, იცი ზეპირად? — მშვიდად ჰყითხა მასწავლებელმა.

— შეიღო ჩემი! აა, ფული — მომიტანე საჭმელი, იქნებ შარბათიც იშოვო, ცოტა რაღაც ჩემს სახედარსაც წამოუღე. პო, მართლა — უძილობა მჭირს და, თუ შეგიძლია, ისეთი რამეც მომიტანე, რომ ღამე თავი შევიქციო.

— კარგი, ბაბუა, მე ახლავე შეესარულებ თქვენს თხოვნას, — თქვა ბიჭუნამ და ფული არ გამოართვა, ისე გაიქცა დავალების შესასრულებლად.

ცოტა ხნის შემდეგ დაბრუნდა, მოხუცს ერთი დიდი საზამთრო მოუტანა და უთხრა:

— აა, ბაბუა! თქვენი თხოვნა შესრულებულია.  
მოხუცი გაოცებული შესცემროდა ხან ბიჭს და ხან საზამთროს.

— გარტო ეგ საზამთრო მოიტანე, შეიღო? — ჰყითხა მოხუცმა ბრძენმა.

— დიახ, ბაბუა! საზამთროს გულს შესჭამთ, მის ტკბილ წვენს დალევთ, მისი მწვანე ქერქით თქვენს სახედარს გაუმასპინძლდებით, ხოლო მისი თესლით უძილობისას თავს გაირთობთ, — თქვა ბიჭუნამ და ხტუნვა-ხტუნვით გაშორდა მოხუცს.

# უსამა!

ვიკიპედია

— ვიცი, — ოდნავ გასაგონად თქვა ვარდანიკამ, და  
ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ დაიწყო:

„იყითხე, ჩემთ ჭკვიანო ბალლო,  
არ იზარმაცო! იყითხე წიგნი...“

კლასში სიჩუმე ჩამოვარდა. ყველა გაკვირვებული  
შესცემოდა ვარდანიკს, ის კი მშვიდად და დალაგებული  
განაგრძობდა... ლექსი ზეპირად თქვა ბოლომდე.  
მოსწავლეები განცვიფრებული შესცემოდნენ, ნუნუმ  
კი ხელახლა მორთო ღრიალი.

მასწავლებელმა ვარდანიკს დღიური გამოართვა, გადა-  
შალა და ხუთიანი ჩაუწერა. ვარდანიკა საკუთარ თვა-  
ლებს არ უჯერებდა.

მასწავლებელმა თავზე ხელი გადაუსვა და ალერსიანად  
ჰქითხა:

— შეგიძლია, მუდამ ასე მიასუხო?

— შეგიძლია, — მტკიცე ხმით თქვა ვარდანიკამ... და  
უცებ, მისდაუნებურად... დიახ, სრულიად უნებურად,  
ტირილი დაძუყო.

ბიჭუნა ვერ მიმხვდარიყო — რისოვის და რატომ ტი-  
როდა...

დაირეკა ზარი. კლასი დაცარიელდა. მარტო ვარდანიკა  
იჯდა გაუნძრევლად მერხზე და პირდალებული  
დასცემოდა თავის ხუთიანს. მას ხომ სიზმარშიც არ  
ენახა ხუთიან!

ბიჭი ბოლოს და ბოლოს მიხვდა, რატომ ტირიან ზოგ-  
ჯერ ბავშვები ხუთიანის მიღებისას. თურმე კარგი ნიშ-  
ნის გამოც შეიძლება იტირო.

რა თქმა უნდა — ეს იქნება... სიხარულის ცრემლები.



დერვიში ჩაფიქრდა: ათი წლის ბიჭუნა რომ ასე გონება-  
მახვილია, რაოდენ ბრძენნი იქნებიან ამ ქალაქის მხცოვანი  
მკვიდრნიო, — და მათთან კამათის გამართვა გადაიფიქრა.

თარგმნა პავლ ჭარხაზიანია.

პაპა ატამის რგავს სახლის წინ,  
ბებო მატყულს პენტაგს ეზოში,  
მამა ნიჩაბს თლის, დედა კი  
საკერავს უზის ჩეროში,  
ჩემი ძმა, იქვე, თალართან,  
წნავს ჭილის კოხტა კალათას.

ვიფიქრე: —ყველა მუშაობს,  
მეც ვიმუშავებ, რად არა?  
«მოგეხმარებით ვინმეს-თქო»...  
«ჯერ კიდევ ხარო პატარა».

დავღონდი... მაგრამ სულ მალე  
ასრულდა ჩემი სურვილი,—  
მომესმა: —მანას, გვიშველე,  
ყელი გვიშრება წყურვილით!

მყისვე წამოვხტი, გავქანდი,—  
მუხლებში ქარი ჩავიდგი  
და წყაროს წყალი ცივ-ცივი  
მოვარბენინე ჩაიდნით.

როს თითო ჭიქა სავსე  
შესვეს, დამლოცეს ასე:

პაპამ თქვა, — მთის შმაგ წყალივით  
შეუპოვარი იყავი;  
ბებომ თქვა, — ზღვათა წყალივით  
დაულეველი იყავი;  
მამამ თქვა, — ჩანჩქრის წყალივით  
დაულალავი იყავი,  
დედამ თქვა, — წყაროს წყალივით  
აუმღვრეველი იყავი.  
ძმამ თქვა, — არეზის წყალივით  
უბერებელი იყავი.

ვიდექი გახარებული,  
გული მიცემდა საამოდ...  
და, როცა ჭიქას დასცლილნენ,  
ვეუბნებოდი: — გააზოს!

თარგმნა ს. ბერიელმა

# კულტურული მეცნიერებები

შიომღვიმე

ნახატი

დიგიტალური ჟურნალისა

ბიჭები მოტიუვლნენ: გათენება ეგონათ და შუალამე იყო. ტყის სილრმეში ჩომ შედიოდნენ — უფრო ბნელ-დებოდა.

— ხომ არ გეშინია? — შეეკითხა თამაზი გიას.

— არა, — დაიჩურჩულა გიას, — შენა?

— რისი უნდა მეშინოდეს... — ამაზე უარეს სიბნელუ-ში მივლია ივრის ნაკრძალში.

ვაწრო, დაკლაკნილი ბილიკი მიდიოდა ტყეში. აქეთ-იქიდან წიფლის, რცხილისა და მუხის ტოტები ჩამოვხა-ტულიყო.

უკანა სახელარმა წაიბორდიკა. გია კეხს ჩაებლაუჭა და რალაც ჩაიბუზღუნა.

— ტოტი ხომ არ მოგვედა? — შეეკითხა თამაზი.

— არა, სახელარმა ქვას ფეხი წამოპერა... კიდევ შორს არის პანტა?

— ჯერ სადაა.

— ის რა აფეჩუნებს?

ბიჭები სმენად იქცნენ.

— არ ვიცი. ტყის ქათამი იქნება... გამოუჯავრდი ჩქარა!

— ვუჯავრდები, მაგრამ არ მოდის...

— ჯოხი დაარტყა!

— ვარტყამ, მაგრამ...

სახედრები შეჩერდნენ, ყურები აცევიტეს, დაიფრუ-ტუნენ და ტყეში შეცვიდლენ.

— კეხს ჩაეჭიდე!... ზედ გაწერი... თავი არაფერს შეა-ხალო! — აფრთხილებდა თამაზი გიას.

სახედრები ერიდებოდნენ ხეებს და მიჩაქჩაქებდნენ. იბერტყებოდა სველი ფოთლები.

— ხომ არ შეგეშინდა, გია? — კვლავ ჰკითხა თამაზმა.

— მე არა, ჩემს სახელარს შეეშინდა, გული უფანცქა-ლებს.

— ჩემსასაც... ჩამოვიდეთ და, როცა გათენდება, მაშინ განვაგროთ გზა.

ბიჭებმა სახედრები ხეზე მიაბეს და იქვე ჩამოსხდნენ.

ბარდებში რალაცამ გაირბინა.

სახედრებმა კვლავ დაიფრუტუნეს.

— ის რა იყო? — იყითხა გიამ.

— არ ვიცი. ტურა იქნებოდა. ნუ გეშინია.

— იქნებ მგელია?

თამაზმა არაფერი არ უპასუხა.

„ეს რა თქვა გიამ? — ფიქრობს თამაზი, — იქნებ მგე-ლიაო. მართლა ჩომ მგელი იყოს, რა უნდა ვქნათ?.. პა-პა იტყვის ხოლმე, ალაზანს გაღმა ერთი კაცი მგლებმა ისე შეჭამეს, რომ ტანსაცმლის ნაფლეთებილა იპო-ვნესო!..“

„სად წამომიყვანა, — ფიქრობს გია, — არა სჯობია, ახლა ლოგინში ვიწვე? დაიჩემა, პანტაო. ჩად მინდა მაგის

მკვახე პანტა, თუ კი მგლები შემჭამენ... დედაჩემი სახლში ა ალარ შემიშვებს... ეჭ, რად გამოვიპარე? სანამ გაიღვი-ძებენ, პანტას ჩამოვიტანთ და გაუხარდებათო... ნეტა ცოცხლები გადავრჩეთ და პანტას ვიღა ჩივის!“

— აუუუ!.. — მოისმა საიდანლაც ყმუილი.

— აუუუ!..

— აუ, აუ, აუუუ!..

— ის რა ლმუის, თამაზ!

— არ ვიცი. ნუ გეშინია.

სადღაც გაიღვა. თითქოს დაიქუხა კიდევც.

„სად მოვდიოდი, რომ მოვდიოდი... რაში მინდა ჭიანი პანტა... თამაზს მარტო ის უნდა, რომ დაიკვებოს — შუალამისას დავდივარ ტყეშიო. რა მინდოდა, მშენივრად ვი-ყავ ლოგინში ჩათბუნებული. ვიძინებდი არხეინად: დი-ლით ავღებოდი და ვენახში წვეიდოდი. მწარე პანტას ჩაშექრული ყურძენი არა სჯობია“...

— აუ, აუ, აუუუ!.. — ისევ მოისმა ყმუილი.

„ნეტა რა ყმუის, — ფიქრობს თამაზი, — თუ მართ-ლა მგელია!.. არა, ტურა იქნება... ზემოუბნელმა დათი-ქომ თქვა. ერთხელ ტურები შეგონენ, მგლის ჭოში კი მოვხვდიო. ისე ბრელოდა, რომ თვალთან მიტანილ თათის ვერ დაინახავდით... ჰოდა, კინალამ არ შემჭამესო... ასან-თით შლივს მოვიგერიე. გავკრავდი და თვალებში მივაგ-დებდი ხოლმეო!“

— გია, ასანთი არა გაქვს? ცეცხლი დავანთოთ!

— დავანთოთ. მეც შემციდა.

ტოტებში რალაცამ გაიფროთხიალა.

გიას ტანზე ეკალი დააყარა. ბეჭებშუა უცნაური წვა-იგრძნო.

— ჭოტი!.. ჭოტი!.. — მოისმა საიდანლაც.

— აუ, აუუუ!

თამაზმა ასანთს გაპერა. აბოლდა სველი ტოტები.

— არ ეკიდება.

— რა ვქნათ?

— როგორმე უნდა დავანთოთ.

— თამაზ, გაიხედე, ის რა ანათებს?!

თამაზმა ორი ანთებული წერტილი შენიშნა. ისინი ხან ნაღერდლებივით ლვივდებოდნენ და ხან ინავლებოდნენ. აი, გატოვდა კიდევ, თითქოს მათებ წამოვიდა.

— გვიახლოვდება, — დაიჩურჩულა გიამ.

— ჰო, გვიახლოვდება.

— ნეტა რა არის?

— ალბათ, მგელია.

— მგელი? — შეშფოთდა გია.

— ჰო, ნუ გეშინია. ცეცხლს დავანთებ და ახლოსაც ვერ მობედაგს. მშრალი ტოტები მომინახე, ჩქარა!

ბიჭებმა შშრალ ფიჩხს დაუწყეს ძებნა.  
— ჭოტ!.. ჭოტ!.. — ნაღვლიანად იძახის ჭოტი ტყის  
სიღრმიდან.

ისევ გაიელვა სადღაც. გაელვებას ქუხილი მოჰყვა.  
” სად წამომიყვანი, — ფიქრობს გია, — მგელს ცეცხ-  
ლისა როგორ შეეშინდება... არა და, ვერც უკიდებს”...  
ანთებული წერტილები ახლა სხვა მხარეს გამოჩნდა.

— თამაზ!, მეორე მგელიც გამოჩნდა.  
— რა უნდა ვქნათ, ცეცხლი თუ ვერ დავინთეთ? —  
წალდიც არა გვაქვს... ხეზე რომ ავიდეთ, სახედრებს შე-  
ჭამენ. არა და, რა ვქნათ?

— ჭოტ!.. ჭოტ!.. ჭოტ!.. — ტიროდა ჭოტი.  
— აუუუ!.. — უფრო საშინლად აყმუვლდა მგელი.  
— თამაზ!, ჩული, თამაზ!. — სიხარულით წამოიძახა  
გიამ. ჩულს მოვუკიდოთ!

თამაზი შეყოყმანდა. შემდეგ წამოხტა, სახედართან  
მიიჭრა, გარსაყრი გაუხსნა და ჩული გამოაძრო.

— ახლა ნურაფრისა გეშინია.  
ჩული ჯერ აბოლდა, შემდეგ ტკაცა-ტკუცი ატეხა და  
აბრიალდა. ჰაერში ტრეუსის სუნი დატრიალდა.

ანთებულ ჩულს ფიჩხი დააყარეს.  
ალმა იყლო. ფიჩხი აშიშინდა...  
ფიჩხი თანდათან გაფიცხდა, აჭახჭახდა და ჰაერში ცეც-  
ხლის ენები აუშვა, ალი აიწია, აიმართა და უშველებელ  
კოცხად გადაიქცა. განათდა ტყე.

— ჩული ხომ მე გავიხსენე? — თქვა გიამ.  
— განა მე კი ვერ გავიხსენებდი, — მიუგო თამაზმა.  
— ვაითუ, მაინც არ შეშინდენ მგლები, — ეპვი გა-  
მოთქვა გიამ.

— მოდი, დავიყვიროთ!  
— დავიყვიროთ!  
— ეპვი! — აკანქალებული ხმით დაიყვირა თამაზმა.  
— ეპვი! — ეხო გამოსცა ტყემ.  
— ეპვი! — შემოესმათ საიდანლაც კაცის ხმა...

....კაცის ხმა არის, თუ... ამბობენ, ჩხივი გამოახავრებს  
ხოლმე ადამიანს...

— ეპვი! — უფრო ხმამალდა დაიძახა თამაზმა.  
— ეპვი! — დაიგუგუნა ტყემ.  
— ეპვი! — გამოეპასუხა ვიღაცა და თოფი გავარდა.  
ანთებულმა კუდაწარამ ცა გადახაზა და გაღმა ხევში  
ჩაეშვა.

ბიჭებმა ტირილნარევი სიცილი ატეხეს და დიდგუ-  
ლად მიუსხდნენ კოცონს.

— ჭოტ! ჭოტ! — მხიარულიდ იძახდა ჭოტი.  
— მართლა აღმიანის ხმაა!

— ჰო, კაცის ხმა!  
— შენ გეშინდა?  
— არა, შენ?

— არც მე.  
ბიჭებმა ტრთმანეთს გაულიმეს.

ცეცხლის ილით განათებული სახედრები გემრიელად  
შეექცეოდნენ ლორთქო ფოთლებს.





ფერწერას, რომელიც ამაშად ჩვენი მსჯელობის თვეში შეადგნს, ხელოვნების სხვა დარგებისაგან გამსხვავებით, სინამდვილის გამოსახვის თავისი გზა აქვს და ადამიანებისადმი ესთეტიკური ტებობის მინტებისათვისაც თავისი საკუთარი, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი, საშუალებები გააჩნია.

რა გზით, რა საშუალებებით წარმოსახავს მხატვარი სინამდვილეს? როგორია ფერწერული ასახვის სტრუქტურა?

მისდევს რა თავისი იდეური ჩანაფიქრის შინაგან კრანებს, მხატვარი შეაჩერებს და განაზოგადებს ასახას მოვლენებს და ჰქმნის მხატვრულ სახეს, რომელშიც ხორცის ასხაში მის შთამავონებელ იდეალს. იგი ცდილობს სინამდვილის სილამაზის შინაგანი კანონზომიერება გადმოვცეს, გვიჩვენოს მისაღმი თავისი დამოკიდებულება და ჩვენც გვაჩიაროს მასთან. ამიტომაა, რომ ფერწერის საშუალებით შესაძლებელია თავისი რეალური გამოხატვა პროვოს ადამიანთა როული და მრავალმხრივი ცხოვრების ბევრი მოვლენა. ფერწერულ ტილოებზე დიდი დამახრებლობით და თვალსაჩინოებით შეიძლება წარმოისა-

ხოს სამყარო მოვლენათა მთელი მრავალფეროვნებით, ფერთა სიმდიდრითა და სიუხვით, ვრცელი სერტიფიკაციით.

მხატვარი ასახას ობიექტებს გამოსახავს არა ისეთ დამოკიდებულებებში, როგორშიც ისინი იმყოფებიან სინამდვილეში. ეს უბრალოდ შეუძლებელიც იქნებოდა, რადგან რეალური სინამდვილის საგნები სივრცის სამ განზომილებაში ლაგდებიან, ხოლო მხატვრულ ტილოს მხოლოდ ორი განზომილება აქვს. ხელოვანი საგნებს ხატავს ისე, როგორადაც ისინი მას წარმოუდგებიან გარკვეული თვალსაზრისით, ანუ პერსპექტიული წყობით. თუმცა ფერწერი იძულებულია ობიექტები ერთ სიბრტყეზე გამოსახოს, მაგრამ ასესპობს ხელოვნური საშუალებები, რომელთა მეოხებით ისინი შეიძლება წარმოსახონ ისე, როგორადაც მათ სინამდვილეში ვცხდავთ, ანუ არა მარტო ხაზოვან, არამედ ვრცელ პერსპექტივაშიც. პერსპექტივა კი ყოველი სახეობის ფერწერის ძირითადი საფუძველია. ამ კანონზომიერებიდან ასც პორტრეტული ფერწერია გამორიცხული; თუ კი პორტრეტი გმირატავს მხოლოდ ერთ პირს, ყოველგვარი გარემომცველი საგნების გარეშე, მხოლოდ და მხოლოდ პარის ფონზე, ამ შემთხვევაშიც კი აუცილებელია გამოსახული სხეულის ცალკეული ნაწილების პერსპექტიული განლაგება. სხვამხრივ ნაწარმოები ერთიანი მთლიანი შთაბეჭდილებას ვერ შექმნის.

ფერწერის ძირითადი მიზანი ბუნების საგნებისა და

## ვახტანგ ჭალიძე.

ფელობოფის მეცნიერებათა  
კანდიდატი.



მოვლენებისადმი მხოლოდ უბრალო მიბაძვა რომ იყოს, ფერწერის მთელი ხელოვნება ფიზიკურ-მექანიკურ პროცესამდე დაიყვანებოდა და მას, ფოტოგრაფის მსგავსად, იღარც დასჭირდებოდა ასახავ მოვლენათა შინაგანი კანონზომიერების ცოდნა. მაგრამ იმისათვის, რომ ვისწავლოთ მოვლენებზე სწორი დაკვირვება, მათი სწორი ცხოვრად გაგება, მათზე განსჭა და მათი სწორი განმარტება, — საჭიროა ამ მოვლენების განვითარების შინაგანი კანონზომიერების შემეცნება; ამიტომ იყო, რომ ყოველი დროის



დიდი მხატვარი შეუნელებელი ინტერესით სწავლობდა აღმანის ანატომიასა და ფიზიოლოგიას, ოპტიკის კანონებს, ატმოსფერული ცვლილების ზეგავლენასა და ა. შ. ეს კი იმიტომ ხდებოდა, და დღესაც იმიტომ ხდება, რომ ფერწერის მიზანი სრულებითაც არ მდგომარეობს მხოლოდ ბუნებისადმი მიბაძვაში და სრულიადაც არ ემთხვევა იმას, რასაც, საერთოდ, ბუნების საგნების არსებობა გულისხმობს: ის, რაც ფერწერის ასს შედგენს, ბუნებაში შეიძლება შემთხვევითიც იყოს; მაგრამ სწორედ ამიტომ, ყველაფერი, რაც ბუნებაში არსებობს, არ შეიძლება გამოსადეგი იყოს ფერწერული ასახვისათვის. აქედან კი გამომდინარეობს, რომ მიბაძვა შეიძლება იყოს მხოლოდ მხატვარული საშუალება და არა მისი მიზანი.

საგანთა გარეგანი სახე გაპირობებულია არა მარტო მათი ნივთიერი შედგენილობით, არამედ სინათლისა და ჰაერის მათზე ზემოქმედებითაც. არცერთი სხეული არ შეიძლება განათებულ იქნას საესებით თანაბრად. სინათლის წყაროს მდებარეობის მიხედვით, ყოველი სხეული წარმოგვიდგება შედარებით ბნელი და ნათელი ადგილების სახით. ყოველ სხეულს აქვს ჩრდილი და ამიტომ თვითონაც შესაძლოა მოექცეს სხვის ჩრდილში. ამ მოვლენათა და საშუალებათა დაწვრილებით შესწავლაზე დაფუძნებული ფერწერაში ის, რასაც უწოდებენ შექ-ჩრდილსა და მოდელირებას. სინათლით მოვლენები დამოკიდებული არიან საგანთა თვითებებზე, მათს ურთიერთკავშირზე და ასევე სინათლის წყაროს ძალასა



### გ. გაბაშვილი. „მთერადი ხევსური“.

კიდებული ფერწერული ნაწარმოების დამაჯერებლობა და ესთეტიკური ზემოქმედების ძალა.

გარევეული სისტემის ფერწყმის, შეხამების საშუალებით ფერწერაში ხორცის ისხამს სინამდვილის მრავალმხრივ მოვლენათა სიმდიდრე, გამოიკვეთება მხატვრულ ტილოზე წარმოსახულ საგანთა ფორმა, მათი შეფერილობა, განათება, მასალა, რისგანაც შედგებიან საგნები, და სკევე — სივრცე, გარემო, რომლითაც გარემოცული არიან ისინი.

ასეთია ის ძირითადი საშუალებანი, რომლის მეონებითაც ფერწერა ახდენს სინამდვილის საგნების მხატვრულ გარდასახვას და ამ გზით ახერხებს იგი ესთეტიკურად ზემოქმედი მხატვრული სახეების შექმნას.

ასახი საგნების მიხედვით ფერწერა იყოფა უანრებად. მათ შორის ძირითადია: ისტორიული უანრი, რომელიც თავისი გამოსახვის მბიეჭებად ისტორიულ მოვლენებს იჩიევს. აღრე ამ უანრს მიაკუთვნებდნენ, აგრეთვე, რელიგიურ, მთლილოგიურ და ალეგორიულ უანრებაც; ყოფითი უანრი, რომელიც იფარებება ხელოვანის თანამედროვე, ყოველდღიური, ან კერძო ცხოვრების ასახვით; ბატალიური უანრი გამოსახავს იმისა და სამხედრო შეჯახებათა სკენებს; პორტრეტული უანრის მიზანია გარევეული პიროვნების, ან პიროვნებათა ჯგუფის გამოსახვა; პეიზაჟი — ბუნების მოვლენათა გამოსახვას ემსახურება, ანიმალისტური უანრი — ცხოველთა სამყაროს გამოსახვას, ხოლო ნატურმორტი — უსულო საგანთა გამოხატვაა.

თავისი დანიშნულების მიხედვით ფერწერას დარგებადაც ყოვენ, რომელთაგან მთავარია: მონუმენტური, დეკორატიული, დაზგური და მინიატურული ფერწერა.

# ც ე ს ა

და იმ პირობებზე, რომელთა დროსაც მისგან მომდინარე სხივები ანათებენ საგნებს. ამ მიზეზებითაც გაპირობებული ფერწერის გამოსახვის საგანთა შეფერილობა, ფერი და საერთო კოლორიტი. ეს თვითებები შეადგენენ სწორედ ხელოვანის მიერ გამოტკიცებული და ჩვენში შექმნილი განწყობილების საფუძველს.

ფერწერი, იჩევს რა ნაწარმოების იდეის შესაბამისად თემას და სიუკეტს, ახორციელებს მას თვალით დასახსნ, ხედვით ფორმაში მთავარ როლს ამ პიროვნების კომპოზიცია ასრულებს. ფერწერული ნაწარმოების კომპოზიცია — ეს მისი აგებულებაა, — ცალკეული ნაწილების მთლიანობაში განლაგება და იდეური ჩანაფიქრის შესაბამისად მათი განსაზღვრა. კომპოზიცია, საერთო მხატვრული გადაწყვეტა, ნაწარმოების მთავარი ელემენტების ხასიათი და ადგილი, კოლორიტი, რიტმი, პიროვნებია, სივრცითი პერსეპტივა და ა. შ., მხატვრის მიერ, ჩვეულებრივ, წინასწარ ესკიზი განისაზღვრება. ხოლო ხატურის დეტალურ და ორმა შესწავლას, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჭეშმარიტი ფერწერული ტილოს შექმნისათვის, ემსახურება ნატურული ეტიუდების შექმნა.

ფერწერული შემოქმედების ყველა ამ ელემენტის საფუძველი და მიზანიც, საბოლოო ჯმში, არის ნახატი, რომლის სიზუსტესა და გამომსახველობითობაზეა დამო-

# ԱՐԵՎԱԿՈՒ Եղիշե

ეკატერინე

მატარებლის კუპეში უქმდება მოიყარა  
თავი. მათგან ერთი მოხუცი იყო, მაგრამ  
ყმაწვილივით დაუღალავი, მხიარული  
და კეთილი ჩანდა. მაღალი შუბლი,  
უკან გადავარცხნილი თმა, მსუბანი,  
მრგვალი სახე ჰქონდა და ოქროს სათ-  
ვალე ეკეთა ერთი სიტყვით, პროფესორს  
გავდა, მაგრამ როგორც კი ალაპარაკდა,  
მაშინვე მისვდნენ, რომ პოეტი იყო. უბ-  
რალო სინამდვილესაც კი ისე ლამაზად,  
ისე ტკბილად და დამაჯერებლად ჰყვე-  
ბოდა, მსმენელებს ზღაპარი ევონათ,  
ხოლო ზღაპრის მოყოლა რომ დაიწყო,  
სულ დაავიწყდათ სად იშეოფებოდნენ,  
— მხოლოდ გრძნობდნენ, როგორ ირჩე-  
ოდნენ არყები, როგორ ნავარდობდა  
მწვანე ტყეში ნიავი, როგორ გალიბდა  
ჭალაში შაშვი, როგორ უკავუნებდა კოდა-  
ლა ხეს და რა თავდაუზოგავად ცდილო-  
ბდა ზღაპრი ყინულში ჩავარდ-  
ნილი მეგობარი კურდოლის გადარჩენას.

რაღა თქმა უნდა, ასეთი ადამიანები  
ანდამატივით იზიდავენ პატარებს. მზია-  
ნი დილა იყო და უცნობი პოეტის გარ-  
შემო თანამდებობის იზრდებოდა გოგო-ბიჭე-  
ბის რიცხვი. ყურდაცემებილნი უსმენ-  
დნენ, კისკისებდნენ, თხოვდნენ, ეკით-  
ხებოდნენ, და დაუღალავი მეზღაპრეც  
როგორ აწყენინებდა ნორჩ მეგობრებს!  
მოხუცის ღიმილი შუქივით ეფინებოდა  
ბაგშევებს, მოცინარე პირიდან კი წყა-  
როსავით მოსჩეფდა. ანდაზების, ზღა-  
პრების, იგავ-არაკების, სახუშარო ლექ-  
სების ნაკადი.

— მოხუცმა გამოცანებით დაიწყო... არა, — ტკბილეულით: ბავშვებს ჯერ გაუმას-

ნახატი პერილ ლოლასი

პინძლდა და მერე კი ასეთი გამოცანა  
უთხრა:

ახალ წელს ჩვენს სახლში მოვიდა  
შორიდან,  
ყვავილებს გვიკრეფდა  
და სახლებს გვიგებდა,  
გვახარა შრომით და სწავლითა,  
ივლებდა, თანდათან იკლებდა,  
და ბოლოს, წლის ბოლოს, წავიდა.

— კალენდარი! — შესძახა ერთმა  
ბიჭუნამ ფიქრის შემდეგ.

ბავშვები გამხიარულდნენ. მოხუცმა  
უფრო ძნელი გამოცანები და ანდაზები  
თქვა. ამასობაში მატარებელი ტყეს გა-  
უსწორდა. მოხუცი მგზავრის სახეშე ღი-  
მიღმა შეითამაშა.

— შექცეთ, ყმაშვილებო, იმ ტყეში ქოხია, ქოხში — ზღარბი, მამალი, თაგვი და ბაყაყი. კარზე ზელი მისდომიათ. გესმით, როგორ იღრინება? „კარი გამიღეთ. ვიყინები, ცხვარი ვარო.“

ბავშვებს თითქოს მართლა ესმით, რო-  
გორ იღრინება „ცხვარი“ და რა შშვი-  
დად ეუბნება ზღარბი: „ცხვრები არ იღ-  
რინებიანთ“...

აი. მოხუცმა დაასრულა მორიგი  
ზღაპარი. მერე რაღაც სასაცილო ამბავი  
მოჰყენა.

ყველანი იცინიან, ერთის გარდა. ეს  
ერთი—ისაა, ვინც ყველა გააცინა. მერე,  
როცა მოზარდებმაც და მოზრდილებმაც  
სიცილით გული იჯერეს, მეზღაპრემ  
ტყისკენ გაიხედა და წყნარი, იდუმალი  
შმით დაიჭყო:

დათვისა ტყეში ნახა თაფლის მოვალე  
ცოტა თაფლი, ბევრი მუსიკის მომავა  
დაესივნენ, დაასიეს,  
აადინეს ზურგზე მტკვრი.

ბავშვები ახლა უკვე დასცინოდნენ  
დათვეს, რომელსაც ფუტკრებმა ცოტა  
თაფლი და ბევრი წყენა აგერძი.

მოხუცი ისევ ტყეს გაძურებდა. ბავ-  
შეებისათვის ეს ტყე უკვე ზღაპრულ  
ჩვეყანად იქცა და მართლა ზღაპარიეთ  
დარჩია უკან.

— აი, იმ ველშე, ჩემთ პატარებო,  
ბროლის კოშეი დგას. გარშემო სპილენ-  
ძის გალავანი არტყია და ზღუდის კე-  
დელი გზელეშაპის კანივით ლაპლა-  
პებს.

— ვინ ცხოვრობს იმ სასახლეში? —  
იკითხა წითელკაბიანმა გოგონამ.

— საქმეც ეს არის! — წარბების აწევით თქვა მოხუცმა მგზავრმა. — ვინ ცხოვრობს იმ სასახლეში? ჩვენ ეს აუცილებლად უნდა გავიგოთ, რომ ზღაპარი გავაგრძელოთ; ვწყებ: იყო და არა იყო რა, იყო ერთი მეფე და პყავდა ერთი გაური. სახელი არ ვიცი. იქნება თქვენ იცით?

მსმენელები საგონებელში ჩავარდნენ.  
— არ იცით? არც მე ვიცი. ვინც სა-  
ხელი დაარქვა, — მან კარგად იცის,  
ჩეგნ ჸი, აბა, საიდან გვეცოდინება! —  
აშის გასაგებად მივდივარ სწორედ. გავი-  
გებ და, აქეთობას ყველაფერს გიამ-  
ბობო

მაინც, ვინ არის ეს მოხუცი? კითხვაც  
კი ერთდებათ. არავინ იცის, რა პქევია,  
ასე დიდის. — ანდერსენი ხომ არ არი-  
სო, — იყითხა ერთმა ყმაწვილმა და დე-  
დამისმაც ჩუმად დაუმოწმა: — ჰო, შვი-  
ლო, ჩვენი ანდერსენია!

ისევ გაისმა „ჩვენი ანდერსენის“  
ჰუბილი ხმა:

— ყმაწვილებო! ზღაპარი — საჩუქარია. საჩუქარის ღირსი კი მხოლოდ ბავი-



თი, ზრდილობიანი და შრომისმოყვარე ყოფილებია

გინც ცუდად სწავლობს, ვერც სედოვის კვალზე წავა, ვერც მიჩურინს დაემსგავსება და ვერც მენდელევს, ვერც კოსმოსს დაიბყრობს და ვერც პოლუსს... ბავშვები ჩაფიქრდნენ.

— გვითხარით, ბაბუა, პოლუსი შორს არის? — იყითხა წითელკაბიანმა გოგონამ.

— რატომ ხუთი წელი?

— იმიტომ, რომ ჩეგნი ქოფებიც ბანჯგლიანია და მამამ მითხრა, — ხუთი წლის წინ ისიც ღვევე იყო.

— სცდები, — შეუსწორა წითელკაბიანმა გოგონამ. — ბაბუა, ხომ მართალია, რომ სერიოზა ცდება?

— საიდან აცი, რომ ცდება!?

— განა შეიძლება ფინია ქოფაკად იქცეს? ფინია — მუდამ ფინია.

უცნობმა მოხუცმა გულიანად გაიცინა, თან პორთფელს სსნიდა.

— ასეთ მოსაზრებულ გოგონას მარტო ზღაპრებით ვერ გავუმასპინძლდები,

— ღიმილით თქვა და გოგონას შოკოლადის ფილა გაუწოდა.

მატარებელი გაჩერდა. მოხუცი მგზავრი ჩასასვლელად მოვმზადა; ბავშვებს ენანებოდათ მასთან განშორება. როცა მოხუცი პატარა მეგობრებს ემშვიდობებოდა, წითელკაბიანმა გოგონამ ცრებლიანი თვალები მიაპყრო და პკითხა:

— ბაბუა, თუ შეიძლება, თქვენი სახელი გვითხარით.

მოხუცმა ტკბილად გაიღიმა, გოგონას თავზე ხელი გადაუსვა და უთხრა:

— სამუელ მარშაკი.

გაოცებულმა ბავშვებმა ერთმანეთს გადახედეს...

მოხუცმა დიდი, ცისფერყდიანი წიგნი ამოიღო, წააწერა, გოგონას გაუწოდა და დასძინა:

— არ გეგონოთ, რომ ბაბუა მარშაკი მიდის; აი, ის ამ წიგნში რჩება, თქვენ შეგიძლიათ მასთან საუბარი გააგრძელოთ...

მოხუცი ბავშვებს ღიმილით გამოემშვიდობა და გასასვლელსაკენ წავიდა.

მატარებელში კი დიდხანს ისმოდა ყველასათვის ნაცნობი, საყვარელი სახელი: მარშაკი, მარშაკი!

# ტკბილი ბავშვები

# საბუძო მეცნიერებები



# შესრულებული

ერთხელ, ჯარისკაცთა ერთი ჯგუფი ხიდის შეკეთებაზე მუშაობდა. სამუშაოს კაპრალი ხელმძღვანელობდა. მას თავის თავზე დიდი წარმოდგენა პქრონდა.—უჩემოდ საქმეს ვერ გააკეთებინო,—ფიქრობდა და ბრძანებებს ყვირილით იძლეოდა.

ჯარისკაცებს ხის მძიმე მორი მიწაყრილზე უნდა აეტანათ, მაგრამ ვერ რეოდნენ. მორის დასაძრავად კიდევ

ერთი კაცი იყო საჭირო. კაპრალმა მიშველება იუკადრისა და აყვირდა:

— აბა, ცოცხლად, ნუ ჩერდებით, აქეთ-იქეთ ნუ იყურებით, მიღით!

ამ დროს კაპრალს სამოქალაქო ტანსაცმელში გამოწყობილი ერთი ჯენტლმენი მიუახლოვდა და პეითხა, რატომ არ ეშველებიო.

— სერ, იცით, მე ვინა ვარ?—კითხვაზე კითხვითვე მიმართა მან,—მე კაპრალი ვარ!

— ოპო, — სთქვა უცნობმა, — მე ეს ვიცი.

უცნობმა მოსასხამი მოიხადა და ჯარისკაცებს შეეშველა. როცა მორი მიწაყრილზე აიტანეს, უცნობი კაპრალი მიუჰრიუნდა და უთხრა, — მუშახელი თუ დაგაკლდეს, დაშიძახე და მოგეშველებიო.

— კეთილი, მაგრამ, არ მეტყვით, თქვენ ვინ ბრძანდებით? — კითხა კაპრალმა.

— რატომაც არა, — უთხრა ჯენტლმენმა, — მე არმიის სარდალი — გეორგ ვაშინგტონი ვარ. ნახვამდის, სერ.

ჯენტლმენი წავიდა. კაპრალი

გაოგნებული იდგა და ხმას ვეღარ იღებდა.

ინგლისურიდან თარგმნა  
თბილისის 1-ლი საშ. სკოლის VIII კლ. მოსწ.

გურაშ გერამია.



## ბალერინები

ნახატი თარის ქვლიფიცხია,  
10 წლის. თბილისი.



**ხავერდი** — ხოთანი ქსოვილი, ჩვეულებრივ — აბრეშუმისა. „ხვარამზეს

ტანზე შავი ხავერდის ქათიბი აცვია“ (შ. ჯავახიშვილი).

სირყვა ხავერდს ხმარობენ აგრეთვე გადატანითაც: „მთანი მალალი, მწვანე ხავერდით შემოსილი, დგანან და ყურს უგდებენ მრავალხმოვან გაზაფხულს“ (ვ. ლომთათიძე).

ხავერდოვანი ხმა აქვსო, იტყვიან ტებილი და სასიამოვნო ხმის პატრონზე.

იმერულად ხავერდა ორ ფერს პქვიო.

ხავერდის ამოსავალი ძირია ხაო, — დაბალი და ხშირი ბუსუსები, განსაკუთრებით კარგად ატყვაი ხალიჩას.

ხაო პქვია აგრეთვე საქონლის ავალმყოფობას, პირში ერთგვარი წვრილი გამონაყარის სახით.

ხავერდის თავდაპირველი ფორმა უნდა ყოფილიყო ხაო-ედ-ი, ესე იგი ხაო-იან-ი, ის რასაც ხაო აქვს. ედ სუფიქსითა აგრეთვე შარავანდ-ედ-ი. შარავანდ მეფის გვირგვინია, აქედან შარავანდ-ედ-ი — გვირგვინიანი მეფე. გვაქვს ედ სუფიქსით ნაწარმოების ახალი ფორმებიც: უქრ-ედ-ი, კუთხ-ედ-ი, გან-ედ-ი, შუალ-ედ-ი და სხვ.

მაშასაღამე, თვედაპირველად გვქონდა ხაოედ. ედ სუფიქსის დართვამ გამოიწვია ო-ს ვ-დ დავიწროება: ხავერდი (შდრ. მინდობი — მინდვრები). დაბოლოს მოხდა რ ბეგრის ჩართვა: ხავერდი.

**ქვერცხი** — ლამაზი დეკორატიული ხე, ტირიფის ჯიშისა.

# 01038JM8J

ამ ზაფხულს მე და ჩემი დეიდა-შვილები—გოგლა და კახა ქვიშეთში ეისვენებდით.

ერთ დღეს გოგლას ღვიძლი ასტკივდა. ბებოს გთხოვთ, ავადმყოფი გოგლას გასართობად რაიმე ეამბნა თავისი ბავშვობიდან. ბებო სიამოვნებით დაგვთანხმდა და აი, რა გვიამბო:

ჩვენს სოფელში, გორმალში, ჩამოდიოდა პატარა მდინარე—ხევის წყალი, რომელშიც ჩვენ ხელით ვაჭრდით ღორჯოებს. ერთ დღეს ბავშვები სათევზაოდ წავედით. ერთი ბრტყელი ქვის ქვეშ ხელი შევყავი, შიგ დიდი თევზი იყო. შემეშინდა, არ გამექცეს-მეტეი, ლაყუჩებში მაგრად ჩაჭიდე ხელი და ფრთხილად ვამოვიყვანე. სიხარულისაგან შევყვირე. მოცვივდნენ ბიჭები და გამომტაცეს თევზი: უნდა გავიყოთ, ჩვენ ხომ ერთად ვთევზაობთო. მე ეს ძალიან მეტყინა, მაგრამ ვერაფერი ვერ ვთქვი. თევზი ოთხად გაპყვეს და თავი მე



## მხედარი

მომცეს. გახარებული შინ გაეციეცი თევზის თავი ბებიას მიღუტანე, თანაც ყველაფერი მოვუყევი. ბებიას ეწყინა, რომ დამჩაგრეს და ჩემი დაჭრილი თევზის მხოლოდ თავი მოცეს,—ტანი კი მათ წაიღეს. საღამოს ბებიამ მეზობლის ბავშვებს შავი დღე დააყა-

**ნახატი ვახტანგ ბაცაცაშვილისა**  
(ხილნაღის რაიონი, ხოუ. არბოშიე).

რა, — როგორ გაბედეთ და ჩემი შვილიშვილი მოატყუეთო.

ბებიამ ამბის მოყოლა რომ დაამთავრა, გოგლამ თქვა.—ღვიძლი უშებე აღარ მტკიცაო.

**შანანა შილიანი,**  
თბილისის 53-ე საშ. სკოლის III კლასის მოსწავლე.

„ძეწნამ ალერსით ამავსო... თაღნი ელავენ ცათანი“ (ა. კალანდაძე). სულხან საბა მას ძეწნის უწოდებს — „ძეწნა არს კაცთა მიერ დანერგული, წვრილფურცელი“.

ძეწნარი — ძეწნით დაფარული ადგილი.

ძეწნას პირველი ნაწილი ძე ნაშთია ძელ სიტყვისა. ძელი იგივეა, რაც ჟ. „წრევა ღმერთმან ნოეს: „ძელთ ჭრად ისწრაფეთ!“ (ღ. გურამიშვილი).

ძელია აგრეთვე მორი: „ახალციხეს ხუთადლიანი ძელების გალავანი ჰქონდა შემოვლებული“ (მ. ჯავახიშვილი). სპორტულ ტერმინოლოგიაში ძელი ჰქვია ფეხბურთის, წყალბურთის, ხელბურთის კარის ზედა ხარისას; ამბობენ ასე: „ძელმა იხსნა „დანამოს“ კარი აშკარა გოლისაგან“.

ძელის კვრა ნიშნავდა დაკიდებულ ფიცარზე კეტის ცემას ხალხის შესაკრებად (ზარის დარეკვის მაგიერ). ძელი ჰქვმარიტი, ძელი ცხოვრებისა—რელიგიურად ერქვა სის ჯვარს, რომელზედაც ქრისტე გაკრეს.

ამეამად ქართულში ძელი ზოგადად „ხის“ აღსანიშნავდა არ იხმარება. არავინ იტყვის „ძელი მიღვას ეზოშიო“. მაგრამ მას რომ ხის მნიშვნელობა ჰქონდა, ჩანს შემდეგიდან: „ძელევა დიდი ზომის წვრილ-ფოთოლა ხეა, სიტყვასიტყვით ხექვა. ხე — სხვა ენობრივი წრილან შეთვისებული სიტყვა — „დაბადებაშია“ ნახმარი და ძელ სიტყვას სარბიელს უკვეცავს“ (არჩ. ჩიქობავა). იგი შემორჩენილა მხოლოდ ქართულის მონათესავე ენებში: ჭანური — ჭალ-ეც-ე და მეგრული — ჭალ-ეც-ი ქართ. ძელ-ებ-ის ფონეტიკური შესატყვითა, ხოლო თ-ჭალ-ეც-ი, ყურძნის ცნობილი ჯიში სამეგრელოში, სიტყვასიტყვით სა-ძელ-ის-ს ნიშნავს, ესე იგი „ხეზე გასულს“, „მაღლარს“.

რაც შეეხება ძეწნის მეორე ნაწილს წნა-ს, — იგი ძირისეულად უკავშირდება წნ-ავს, წნ-ელ სიტყვებს. ძეწნა—ძელწნა, სიტყვასიტყვით—ხე წნული.

**არლი თაჟარიშვილი,**  
ფილოლოგიურ შეცნიერებათა კანდიდატი.

ცოდნება მ. 10 ლიტერისასი



იდი ხანი არაა მას შემდეგ, რაც  
სპორტის სასახლის მხარმარცხნივ  
სასახლის მსგავსი პატარა ნაგებობა  
გაჩნდა.

მისი ბატონ-პატრონი თბილისის პიონერთა სასახ-  
ლის წორჩ მოცემურავეთა სპორტული სკოლის მოს-  
წავლენები არიან.



# საქართველოს არაერთი ნიჭიერი სპორტსმენი აღუზრ- დია, მაგრამ უმეტესი მათგანი ე. წ. «ზაფხულის» სპორტის სახეობებში აღწევდნენ წარმატებას; ახლა კი თამამდე შეიძლება ითქვას, რომ სუთიოდე წლის შემდეგ საქართ- ველის მოცემურავების სახლოვნი წარმატებაზე გა- მოვლენ საკავშირო შეჯიბრებებში და დამსახურებულ სა- ხელს შემატებუნ ქართველ სპორტსმენთა რიგებს.

მაღალა კლასის მოცემურავე რომ გახდე — კარგად  
უნდა ფლობდე სპორტის სხვადასხვა სახეს. ამის გარეშე  
უიტიც კი ზედმეტია დიდ წარმატებაზე. სააშისლი



თაღევეში, შენობაში, ნამდვილი ზამთარია; ფართო მოედანი ყინულის სქელი ფუნთ არის დაფარული. ყინული რომ მუდა ხარისხიანი იყოს და არ გალევეს—იატკევეშ 1000-მდე მილია ჩაწყობილი. ამ შილებით გამუდმებით მიედინება სპეციალური ხსნარი. იმის წარმოსადგენად, თუ რა გრანდოზულია ყინულევეშ შეურნეობა, სკოლისა კოტევათ, რომ მილების ასავსებად 25 ტონა ხსნარია საჭირო.

შენობის არტიტეტორებს თ. აბაშიძეს და ი. კასრაძეს საქმისადმი დიდი სიუგა-რული და ღრმა ცოდნა გამოიმუდავნებიათ. თვალს ახარებს ფართო, მსუბუქი კარ-ფანჯრები, მოსაცემლი, საცემო, საშაპო თუ სხვა ოთახები.—ერთი სიტყვით, აქ ყველა პირობაა შემშნილი მოცემურავეთა დაოსტატებისთვის.

საციგურაო ხელოვნების დაუფლების მსურველი ძალზე ბევრი იყო. ოქტომბრის თვე მთლიანად შესარჩევ გამოცდებს დაეთმო. უკვე შერჩეულია 350 ბავშვი, ამათგან — უმცესებობა პირველკლასების არიან.

სწორად ხუთ შეღს გაგრილდება.



წამიც და ეს  
გოგონინიც  
გალენ  
კანულა



როული იდენტი



უკვე  
შერჩეულია

სკოლას აქვს კეთილმოწყობილი სპორტული დარბაზები, სადაც გამოცდილი პედაგოგები მეცადინებას ჩაატარებენ სპორტულ და მხატვრულ ტანკირჯიშები, ქორეოგრაფიაში. შენობის ირგვლივ მთელი ეზო ნამდვილ სპორტულ ქალაქს დამსაცავება. აქ იწევა სარბინი ბილეკი, სიმღლეზე და სიგრძეზე სახტომი სკეტორები, კალათბურთისი, ფრენტორის...

რამდენიმე თვის დაძაბული მუშაობის შემთხვევაში დღევანდველი ახალბედები უკვე მტკიცდ დადგებიან ციგურებში, ანგარში კი მათ შეეძლებათ ბაკურიანში, დიდ საცემურაო მოედაზე სცადის ძალა.

გვაგ დრო და, შეიძლება იმედი ვეიქინით, რომ დღევანდველი ახალბედები საბჭოთა და მსოფლიო სპორტულ ასპარეზზე გავლენ.

ეგვიპტის ისტორია

თარგმანი  
ლ. ბოდორიაშვილი

ნახტები მ. ვალენტინი



მარტ კავკაციი

პრაქტიკული მეცნიერებები

## თავდაჯაჭყალი

„დაგვირჩით — გედავთ!“

ჰყავის ჩარცელები.

ხეა იძულები ზურიდან.

შარეპ კეგუსი. მავაზი.

თეთრი ბათქაზის საიდუმლო.

— გენიალურია, — აღფრთოვანებით წამოიძახა მატებარმა. — მითხარი, ჩემო ბიჭუნი, როგორ მიხვდი, რომ ეს არამაღალები აიძულებდნენ მარექს — გარვეთილები ემზადებინა მათი უქნარა შვილების მაგივრად?

— კი არ მიგწვდი, — გაიღია თეთრობრძა, — უბრალოდ, ასეთი დასკვნა გამოვიტანე.

— როგორ?

— პოლონები ენის რვეული რომ ვიპოვნეთ, მაშინვე ვიცანი მარექსი ხელი, ყდაზე კი მოსწავლე ექი ტურ-პისძის გვარი ეწერა. დამავიწყდა თქვენთვის მეთქვა, რომ ბანდიტი ტურბისი მთავარ დერეფაში ჩატანი დაგრად მიბეგვა ბოკმანმა.

— ახლა სად არის?

— საგანძურში ძინავს.

— ტურბისმ ძინავს საგანძურში — ვაუპარსავ ყარულთან ერთად; ვაფანდარა გამოკეტილია; ბოცმანი გათოვილია და ნიშში აგდია; ჩემი, შესაძლოა, თავს დაგვესხმა მხოლოდ სამი ბანდიტი: მორავე და ორი ყარაული — ელამი და ბრძა ტაღი. დანარჩენი ბანდიტები ახლა მაღლა არიან, — ვარაუდობდა მაძებარი.

დასახული. იხ. „პიონერი“ № 1—11.

— ჩემ არავინ არ დაგვესხმის, — გამოეხმაურა თეოდორი.

— რატომ?

— ჩემ გავალთ ირგვლივი, წრიული ხაზით.

— წრიული ხაზით? რა არის ეს?

— ეს გარეთა დერეფანია, იგი წრესავთ აერთებს ხუთივე შიდა დერეფანს, როგორც ბორბლის სალტე აერთებს მანებს.

— საიდან იცი, რომ წრიული ხაზი არსებობს? — კვასი გაოცებული შეცყალებდა თეოდორს, — ყოფილხარ იქ?

— არა, ჩემ გვერდი ავუარეთ მას.

— გვერდი ავუარეთ? როდის? — იყითხეს ბავშვებმა.

— გასსოფთ პირველი გზავარედინი, ქვემოთ? იმ ადგილას შიდა დერეფანს სტრიდა გარეთა დერეფანი; აი, ნახეთ როგორაა, — თეოდორმა დახახა გეგმა.

— დარწმუნებული ხაჩ? — იყითხა ქვასმა.

— სრულიად დარწმუნებული. მე პატარა კიდა ჩავარე და დავრწმუნდი.

— რა ცდა?

— ახლავე გაფიქრორებ.

თეოდორმა ამოიღო ზურგჩანთიდან სანთელი და აათოო.

— ახლა ნათელია თქვენთვის, პან იპოლიტ? — გაუღისმა მან მაძებარს.

— ბრწყინვალედაა მოფიქრებული! — წამოიძახა კვასმა. სანთელი გამოსტაცა, მაღლა ასწია. ალმა ლიკლიცი დაიწყო და გვერდზე გადაიხარ.

— ორბირი ქარია. პაერი იძვრის. დერეფანს ჩიხა აქვს. ბრავო, ჩემო ბიჭუნი! — იპოლიტ კვასმა მხარზე ხელი დაჭრა თეოდორს.

— მიაქციეთ ყურადღება, საითკენ იძვრის ჰაერი,  
— დაუმატა თეოდორშა.

— ჰაერი იძვრის დერეფნის ბოლოდან გასაწყისისა-  
კენ, ესე იგი ცენტრისკენ ული მიმართულებით, — თქვა  
მაძებარმა კვესმა.

— მართალი ბრძანდებით, — თვი დაუქნია თეო-  
დორშა. — ქედან გამომდინარეობს, რომ დერეფნის  
ბოლოდში ჰაერი უფრო თბილია. დერეფნებში არც ლუმე-  
ლები დგას და არც გამობობები. მაგრამ, ლიფტიდან ვირ-  
დაპირ გზაგარედინზე რომ გამოვედით, მე შევნიშნე,  
რომ პერპენდიკულარულ დერეფნაში ირთელის მილები  
იყო გაყვანილი. ეს მილები, ეტყობა, ახლახან გაუყვა-  
ნიათ — მილებში სურინგი სულ ახალთახალია. შემდეგ  
ჩვენ კალორიფელსაც კი წავაწყდით. როგორც უკვე და-  
ვადგინეთ, დერეფნის ამ ბოლოდან გამოდის თბილი ჰა-  
ერი, ეს კი იმას ნიშნავს, რომ დერეფნი შესასვლელს  
უერთდება იქ, სადაც დგას კალორიფელები.

— ანუ მეტუთე დერეფნანთან, — დაუმატა მაძებარმა  
კვამა.

— დიახ, ასე უნდა იყოს, — დაუქასტურა თეო-  
დორშა, — მეტუთე დერეფნან ხომ მიწასქვეშეთის იმ ნა-  
ხევარშია! ბოლოს, ჩვემს ჰიპოთეზას ახასტურებს ტურ-  
პისის ნაკვალევი. ჩვენ ვიცით, რომ როგორც ტურპის სცე-  
მეს, იგი გაიქცა წრიული დერეფნით და აღმოჩნდა სა-  
განძურში — პირველ დერეფნანში. ეს იმას ნიშნავს, რომ  
გასასვლელები ერთმანეთში გადის. საქმარისია დახედოთ  
ნახაზს და... მიხვდებით.

— ბრწყინვალეა, ჩემო ბიჭუნი. ახლა კი დავრწმუნ-  
დი. სწორედ ამ გზით მივალე მარექთან, გვერდს ავუვ-  
ლით ელამს, რომელთანაც შეხვედრა სულაც არ მეჭაშ-  
ნიკება.

— რჩება კიდევ ბრძან ტადი... და ის მორიგე.  
— ბრძან ტადს ახლა ძინავს, — სარამოს ექვეი სა-  
ათოდან — ლამით უწევს მორიგეობა, მორიგე კი არასო-  
დეს არ სტოკებს თავის პოსტს, ამის უფლება არა აქვს.  
დამიჯერე, ბიჭუნი, რომ ჩემი იძუ-  
ლებითი დასვენების დრო უქმარ არ  
დამიკარგავს; ვცდილობდი გამეგო,  
როგორ აქვთ საქმე დაყენებული.  
აბა, მევობრებო, გვეყოფა ამდენი  
მსჯელობა: ბევრ ლაპარაკს არაერთი  
კარგი წმინდება ჩაუფლავებია. აბა,  
წინ გავსწიოთ...

ორი წუთის შემდეგ პატარა რაზმ-  
ბა წრიულ დერეფნანს მიაღწია. თეო-  
დორი არ შემცდარა: დერეფნანი გა-  
სასვლელით უკავშირდებოდა წრეს,  
რომელიც მიწისქვეშეთს ირგვლივ  
უვლიდა. მარჯვნივ წავიდნენ და რკი-  
ნის ჭიშკარს მიადგნენ, რომელიც ჭი-  
ოთხე დერეფნანში გადიოდა. ჭიშკა-  
რი ლია იყო. შემდეგ კი მეტუთე დე-  
რეფნანც მიაღწიეს. აქაც ლია დახ-  
ვდათ რკინის ჭიშკარი. აღელვებისა-  
გან სულგანაბულნი მიიწევდნენ ბავ-  
შვები სილრმისაკენ. კაფანდარამ თუ  
არ იცრუა, მარეკი სწორედ აქ უნდა  
ყოფილიყო.

მართლაც, — ოცდაათი ნაბიჯიც არა ჰქონდათ გა-  
დადგმული, რომ დაინახეს კაშკაშა შუქი, რომელიც მარ-  
ცხნიდან შემოდიოდა დერეფნანში. ბავშვებმა დაავიწყდათ,  
რომ ფრთხოლად უნდა ყოფილიყვნენ, ნაბიჯს უმატეს.  
უცრად შუქი ჩაერა.

— დაწევით! — დაიყვირა თეოდორმა.

წამსცე ჩამოლგა გარეთა დერეფნანში ყვითელი შუქის  
სვეტი. ჭერზე და კედლებზე მიმოდიოდნენ ფარნის სხი-  
ვები, — შესასვლელს ეძებდნენ. ბავშვებმა თავები დახა-  
რეს.

— უველავერი დაგველუბა, შეგვამჩნიეს, — ამოი-  
ოხრა მაძებარმა.

თითქოს დასტურად ამისა, გაისმა მკაცრი შეძახილი:

— და გვები დიო, გ ხედა ათ!

— მიუის, ვერაფერსაც ვერ ხედავს.

— მიბრუნდით კედლისაკენ, — ხელები მაღლა! წინააღმ-  
დეგ შემთხვევაში — ვხსნით ცეცხლს!

— ეს ელამი ყვირის, დავიღუნეთ, — წაუჩურჩულა  
კვასმა გვერდით მწოლ თეოდორს და ხელებზე წამოი-  
წია.

— არ გაინძრეთ, — გამოსცრა თეოდორმა.

— ხომ არ გაგიდდი, ბიჭუნი! კურდლებივით მოგვ-  
ცელავს, — ამოიხრა მაძებარმა.

მოულოდნელად ზურგიდან მოისმა ვიღაცის უცნობი,  
წრიბინა ხმა:

— არ გაინძრეთ. უკან, თქვენგან ორი ნაბიჯის და-  
შორებით, დერეფნანი ნახევარი მეტრით ღრმავდება. იქ  
ორი საფეხურია. იქთკენ გახოსტით და თავს დაალწევთ  
ტყვიებს.

— ვინ ლაპარაკომს?

— მარეკ პეგუსი.

— მარეკ პეგუსი? ეს შენა ხარ, ბიჭუნი? — აღელ-  
ვებისაგან მაძებარს ხმა ჩაუწყიდა.

— მარეკ! გამარჯობა! — დაიყვირეს ბავშვებმა.

— სადა ხარ, მარეკ? — აუღომლად იქთხა თეო-  
დორმა.



— უკან, ორი მეტრის დაშორებით თქვენგან, საკანში ვაჩ დამშუცლეული...

თეოდორს უნდოდა მაშინვე გაეთავისუფლებინა იგი, მაგრამ მარეკმა პროტესტი განაცხდა:

— მოითმინდეთ... ორ არძი საყირო. სს სროლის დაიწყებს, უკან დახტიეთ, უკან დაზიეთ.

— სამაშდე ვითვლი, — გაიმეორა ელამმა, — და ვხსნი ვეცხლ!

— შეგიძლია გახსნა, — წაიდუდუნა თეოდორმა და კიბოსავით უკან-უკან ხოხვით მიჰყები ბავშვებს. ჩუინის კართან რომ მიხონდა, გმისაღები მოარგო კლიტეს.

ჭიდევ ერთი წამი და... მარეკი გაათავსუფლა.

— დაწერე! — კვლავ გასუა ბრძანება თეოდორმა.

ბავშვების თავს ზემოთ ავტომატი აუკანდა, ჭირილი აგურის ნამტვრევები წამოვიდა, თვალები და პირი მტკრით ამოებით.

— ავტომატი აქვთ, — თქვა თეოდორმა.

— რა მოვიდა? რა მოგვიდა? — ნერვიულობდა კვასი, — ელამი განგაშმის ასტეს. ისინი მარწუხებში მოგვაქცევენ.

თეოდორმა სათას დახტდა:

— ახლა ხუთი სათათა. პირიდიონი მილიციას შეატყობინებს მხოლოდ შვიდ სათაზე. სულ ცოტა, ორი სათას გამმავლობაში მოვიხდება თავდაცვა.

კვლავ გაისმა ტკივიების ზუზუნი.

— თვაი რომ მოვამყედარუნოთ? — ჩურჩულით თქვა იძოლიტ კვასმა. — დავიყიჩიოთ, დავიყვნესოთ და მერე გაეჩუმდეთ. ელამი ითერებს, რომ დაგრიზოცე, ახლოს მოვა, და მაშინ იოლად გავუსწორდებით.

— არც ისეთი ჩანს, რომ ჩვეუმ ანჯესზე წამოეკოს, — უპასუხა თეოდორმა. — მან ძალიან კარგად იცის, რომ ვერ მოგვარებას, მხოლოდ შესაშინებლად ისვრის, სხვა ბანდიტებს უკიდის.

— მნებდებთ? — გაისმა ელამის ჩა.

— შენ თვითონ დაგვეხმდი! — დაუყვირა თეოდორმა. — ზევით ჩვენი ხალხი ავგა! ჩვენ თუ არ გავალო, ისინი მილიციას გამოიძახებენ. თქვენი საიდუმლო სამურაველი აღმოჩენილია.

ელამი ერთხანს დუმდა. ეტყობა, თეოდორის სიტყვებმა განაცვიფრა, მერე დაიძახა:

— სტუი! მაღლა არავინ არ იცის, რომ ჩვენ აქავსრო. დანერგბით, თორებ კველას ამოგწყვეტი. ვერც ერთი ძალით ვერ გაივეშ, რა შეეჭროთხვათ.

— შეგიძლია შენს შეფს დაურევო! — გამოშეპასუხა თეოდორი. — აბა, სცადოს და ჩამოვიდეს მიწისქვეშოთ. წმიდა იაცეკის კვლესის შესასვლელს ჩემი ხალხი იკავს.

— კარგია, რომ მოთხარით, — დაკინვით დაიძახა ელამმა, — შეფი ბალლინგობივით გასრუეს მთ.

— ვერაფერსაც ვერ გასრუეს. ჩვენ ეტავეტა გვაქვს უკველ ათ მეტრზე, მილიციას მთავარი კომენდატურიდან მოყოლებული. კაიტანი იაშტოლტი მაშინვე გაგისწორდებათ.

— მიმიფურთხებია თქვენი კაპიტინისათვის; — წაიბურტყუნა დაბნეულმა ბანდიტმა. — ვიღრე მილიცია მოვა — ავაორთქმებთ.

— სიბრძნეს ნუ იურქვევ; ელამძო, ვერაფერსაც უერ დაგვაკლებ, — გაიცინა თეოდორმა, — გირჩევნია შეფს

დაურევო და აუხსნა საქმის ვითარება, თორემ შაგრად შეგხვდება.

ერთი წუთით სიჩუმე ჩამოწვა. ეტყობა, ბანდიტი ფიქრობდა, რა ელონა. ბოლოს, მაძებარმა და ბავშვებმა ჩუინის კარის ლრწიალი და მიმავალი კაცის ნაბიჯების ხმა გაიღონეს. თეოდორი ფარანით ხელში კიბის ზემო საფეხურზე ავიდა და გაანათა. დერეფნის ბოლოს არავინ არ იყო. სამაგიეროდ, ჩუინის მძმე ჭიშკარი დაკეტილი დახვდათ.

— წევიდა, — დაილრიალა თეოდორმა.

— გარი დაუკეტავს.

— ეს მოსალოდნელი იყო.

— რა უნდა ვწინა?

— უნდა ვძალავებლოთ წუთიანი შესვენებით და ვეცადოთ — დერეფნის მეორე მხრიდან გავიდეთ.

— სიჩბილით! — ბრძანა კვასმა. — მხოლოდ სისტრაფე და იერში გვიშველის.

ბავშვები ფეხის კერითა და ერთმანეთის ჭიკავ-ჭიკავით გარბოდნენ სიბნელუში. ფარნის ანთება თეოდორმა აკრძალა.

უცებ, წინ რაღაც გადაელობათ.

— ჩუინის წევლები! — დაიყვირა მაძებარმა.

— ჩუმად, ღვთის გულისათვის, ჩუმად, ყველას დაგხვრეტენ!

ბავშვები მიწაზე გაერთხნენ. გარშემო დუმილი ჩამოწვა. თეოდორმა ერთის წმით აპით ფარინგი. ძეხორციელი არ ჭაჭანებდა. გზა გადალობილი იყო რკინის მესერით.

— გამოგვამწყვდიეს, — ამოიოხრა კვასმა.

— არავე მხრიულან ჩაგვეტეს.

